ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2019 წლის 8 იანვარი

ქ. ყვარელი

**„ყვარლის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ყვარლის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 დეკემბრის №62 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 6.12.2018 წ., 010250050.35.164.016336), კერძოდ:

1. დადგენილების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ტიპური ფორმა – დანართი №2 და საჯარიმო ქვითრის ტიპური ფორმა – დანართი №3 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრაციაში გატარებულია 2018 წლის 5 სექტემბრის №19-04/1440 წერილით).“.

2. დადგენილების №7 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„დანართი №7**

**მ ი თ ი თ ე ბ ა №**

სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გაცემული შენიშვნის აქტი

---

ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1 ტელ.: (5 352) 22 09 37

_____

(ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი)

1. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დარღვეულია ამავე კანონის

_____

(მითითების საფუძველი: კონკრეტული დარღვევა ნორმატიული აქტისა და მისი შესაბამისი მუხლის მითითებით)

_____

_____

_____

_____

_____

2. დარღვევის ჩადენის ადგილი (ობიექტის დასახელება, მისამართი)

_____

_____

3. გასატარებელი ღონისძიებები: _____

_____

_____

_____

_____

4. მითითებით განსაზღვრული გასატარებელი ღონისძიებების შესრულების ვადა:

_____ დღე

5. გაცნობებთ, რომ თქვენ ჩართული ხართ ადმინისტრაციულ წარმოებაში, გენიჭებათ ყველა ის უფლება, რომლებიც დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტისთვის და გაკისრიათ შესაბამისი მოვალეობები (კოდექსის VI თავი).

6. შემოთავაზებული ღონისძიებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს თქვენს პასუხისმგებლობას ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კერძოდ:

_____

_____

_____

_____

7. მითითება შეადგინა: _____

8. მითითება პირადად ბარდება ადრესატს ან/და განთავსდება მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე.

9. მითითება შედგენილია სამ ეგზემპლარად, სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

10. მითითება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში დადგენილებასთან ერთად, გაცნობიდან 15 დღის ვადაში.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის

სამსახურის ხელმძღვანელი

_____ _____

ხელმოწერა  ბ.ა.  თარიღი

მითითება ჩავიბარე:

_____

_____  _____

ხელმოწერა, სახელი, გვარი (სრულად)  თარიღი

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ყვარლის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე**  **დავით ქევხიშვილი**